



№ 01/998

02 07 2024წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ბატონ ვასილ გედევანიშვილის

ბატონო ვასილ,

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ქ. რუსთავის და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე დაგეგმილი, 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“-ის სს „რუსთავი აზოტი“-ს 110 კვ ძაბვის „ქ/ს-02“-თან და „ქ/ს-01“-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ელექტროგადამცემი ხაზის პროექტზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 23 მაისის №265 / ს ბრძანებით გაცემულია №31 სკოპინგის დასკვნა (28.03.2024). გარემოზე ზემოქმედების ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად და №31 სკოპინგის დასკვნის პირობების გათვალისწინებით.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „რუსთავის აზოტი“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი-220“-ის სს „რუსთავი აზოტი“-ს 110 კვ ძაბვის „ქ/ს-02“-თან და „ქ/ს-01“-თან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სიტუაციური სქემა - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული ტერიტორიების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით -CD დისკზე.

პატივისცემით,

Handwritten signature

ჯეი პრაკაშ ჯაჯუ

სს „რუსთავის აზოტი“-ს გენერალური დირექტორი

